ცნობის ფურცელი

№ 2608 შაბათი, 11 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2608

ზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის საბუღალტრო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას სარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიებია და სხვათა ა. გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი ქ. გიგინეიშვილი.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ.

(25—6.—23)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ფ. მუღდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი ა. იოსელიანი.—ქალისა და საბებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. ა. [illegible].—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. მ. მოქანი.—ქალისა, საბებით და ბავშვებისა და (შემ ხშება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირას. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მ. მ. ხოზოლიმსკი.—ხირურგია და ორთოპედი: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკვ. 1—3 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლიმსკი.—ხირურგია და ორთოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი ჩვენებისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოთის აქვს თავ. საწოლი სამკურნალოში [illegible] კრავატები დღეში დღის [illegible] მან.

(ქუკიის [illegible] სა, № 9.

[illegible] № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჯისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—8)

კბილის ექიმი
ალ. ხოლოდაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის" გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—10)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
გადავიდა ბარიანის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ფოტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე მოს 6—8-მდე.

ექიმი
მ. ი. ტერ-გრიგო
შინაგანთა, სპეციალისტი ავადმყოფების, რენტგენის სხივის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეი 104. ტელეფონი № 825. (90—295—6)

მისაღები ეგზამენი ტფილისის
საბალოსნო სკოლაში
დანიშნული არის 25—29 ენკენისთვეში. (2—308—2)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების
„კ ა ხ ე თ ი"-ს
გამგეობას პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრ რომ ამა 1904 წლის 23 ენკენისთვეს დანიშნულია **საგანგებო საზოგადო კრება** წ ერთო თელავში, დილის 10 საათზე.

კრებამ უნდა განიხილოს: ახალ განყოფილებების გახსნა, წესდების §§ 4 და 5 განმარტება, 2 სარევიზიო წევრის არჩევანი. (3—2)

პ ა ნ ს ი ო ნ ი
ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.
ალექსანდრე გიორგის ძე
მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—35)

5 სექტემბერს დაიკარგა ბავში, მუნჯი დაბადებიდან. უმორჩილესად ვთხოვთ მპოვნელს ბავშვი მოუყვანონ ორბელიანის ქუჩაზე № 19, მღვდელს დავით ბარნაბოვს. (1—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
საგანგებო კრება
(გაგრძელება 29 მარიამობისთვისა)
დანიშნულია 12 ენკენისთვისათვის—დილის 9 საათზე, ამხანაგობის ახალ ქარხანაში, ელისაბედის ქუჩა № 25. (2—1)

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები
(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

9 სექტემბერი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, მის იმპერატორებით უდიდებულესობას: „ჩვენის ჯარის სამხრეთ მხარეს ცვლილება არ მომხდარა. მიღებულ ცნობებით, 7 სექტემბერს დალნის უღელტეხილზე მომხდარ ბრძოლის დროს იაპონელებმა ორჯელ მიიტანეს იერიში ჩვენის რაზმის წინააღმდეგ, მაგრამ რაზმა ყველგან უკუ-აგდო. ამასთან ჩვენებმა წამოიყვანეს რამდენიმე ტყვე და ხელში ჩაიგდეს თოფები და სხვა იარაღი. ჩვენ მოგვიკლეს ერთი ოფიცერი და 3 სალდათი, დაგვიჭრეს 43 სალდათამდე; ამათგან ბევრი ხელ-ახლა დაბრუნდა ჯარში. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქ[illegible] ტორებით უდიდებულესობას".

ჩიფუ, 8 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). აქ მოვიდა რუსის ოფიცრის ცოლი ანნა კრავჩენკო. კრავჩენკო მოვიდა იმ გემით, რომელზედაც თავ. რაძივილი და პოლკოვნიკი ხრისტაფოროვი იყვნენ. ქალს ისე შეშინებია, რომ მხოლოდ დღეს გამოირკვა ამ შიშისა და ღელვებისაგან. კრავჩენკო დღეს დასთანხმდა მხოლოდ „რეიტერის სააგენტოს" წარმომადგენლის მიღებას. ქ-ნმა ჩენკომ სთქვა, საავადმყოფოს მოსამსა პორტ-არტურში დარჩენილ ქალებთადა, სასწაულებს სჩადიანო. ყოველ ავადმყოფზე 30 სანიტარია. „მანდილოსანები უმთავრესად უნდებიან მეციხოვნე სალდათების ტანისამოსის კერვას. სალდათებისა და ღარიბ მცხოვრებთა ცოლები სალცვლებს რეცხავენ და ამ რიგად ავადმყოფებისთვის ყოველთვის არის სუფთა საცვალი. სიცხეების დროს არავითარი გადამდები სენი არ გავრცელებულა, მაგრამ მეციხოვნენი და მცხოვრებნი ძალიან შეწუხდნენ წითელ-თავა ბუზებისაგან. ამ ბუზების დაკბენილნი იხოცებიან. ყოველ დღე მუსიკა უკრავს. ავადმყოფნი მალე რჩებიან მაქსიმის ტყვიის ჭრილობებისაგან, აგრეთვე ოსაკას სისტემის იაპონელთა თოფების ტყვიის ჭრილობისაგან; მაგრამ არიან ისე საშიშოდ დაჭრილნიც, რომელთა მორჩენაც შეუძლებელია. ძველი ქალაქი თითქმის სულ ერთიან დანგრეულია. ქუჩებში ბევრი ნანგრევებია, მაგრამ ძალიან ცოტაა მოკლულთა რიცხვი იმ დროს, როდესაც იაპონელები ყუმბარებს უშენდნენ. ერთხელ, როგორც დავთვალე, იაპონელებმა 57 ყუმბარა ესროლეს ერთ ჩვენ ბატარეას, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოახვედრეს. მეციხოვნე ჯარი კარგ გუნებაზეა. შეუძლებელია იმათზე მამაც ხალხის წარმოდგენა. 3 დღის სამსახურის შემდეგ სანგრებში, სალდათები სიმღერით ბრუნდებიან უკან. თუმცა ამ გმირთა რიცხვი შემცირდა, მაგრამ დარჩენილთ სწამთ თავიანთი ძალა და სჯერათ, რომ ციხეს დაიცავენო.

ტოკიო, 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). მიღებულ დეპეშის თანახმად, რუსის რაზმი, რომელიც შესდგება ქვეითა ჯარის 4 ბატალიონისა, ცხენოსანთა 4 ესკადრონისა და 8 ზარბაზნისაგან, 4 სექტემბერს თავს დაეცა იაპონელებს სეიტაძესთან. ბრძოლამ გასტანა ნაშუადღევის 3 საათამდის, როდესაც იაპონელებმა უკუ-აგდეს რუსები. რუსებმა 57 კაცამდე დაჰკარგეს.

ტიანძინი, 8 სექტემბერი („რეიტერის სააგ."). იაპონიის საკანონირო გემები ინკოუდან წავიდნენ, რომ მონაწილეობა მიიღონ პორტ-არტურზე თავდასხმაში. ფიქრობენ, რომ ეს შტურმი საბოლოო იქნება.

ჩიფუ, 8 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). როგორც სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, იაპონელების მიერ ციხის მთავარ წრეში აღებული სიმაგრეები მეორე ხარისხოვანია. ეს სიმაგრეები ერლან შანის და სტონლანშანის სიმაგრეებს შუაა და აიღეს იაპონელებმა დიდ შტურმის დროს. იაპონელ ოფიცრების სიტყვით, ამ შტურმის დროს იაპონელებმა დაჰკარგეს 15-დან 20 ათას კაცამდე. ეს სიმაგრეები უფრო დაბალ ადგილებზეა, ვიდრე სხვა, მეზობლად მდებარე სიმაგრეები. ამ სიმაგრეებს იქით-აქედან საშინელი ყუმბარები დაუშინეს. მეციხოვნენი ყველანი ამოჟლიტეს, დახოცილთა ნაცვლად ახლები მიდიოდნენ, მაგრამ ისინიც იხოცებოდნენ. ამ პატარა პოზიციას საოცარის მხნეობით იცავდნენ, რადგან იმედი აქვთ ბაზად გადააქციონ იგი და ქვეითა ჯარი აქედან იერიშით გაგზავნონ, თუმცა საჭირო კია ეხლავე დაიჭირონ სიმაგრეები, რომ იაპონელებს შეეძლოთ შეინარჩუნონ მოხერხებული მდგომარეობა. რუსები ყოველ დღე ათასობით ყუმბარებს უშენენ ამ პოზიციებს. იაპონელები ერთ ხანს პასუხს არ აძლევდნენ, რადგან შეცდომის გამო საომარი მასალა შემოჰკლებოდათ, ეხლა ეს შეცდომა თავიდან აცილებულია. ის გზები, რომლითაც იაპონელები მოდიან, გაფუჭებულია. ეს გარემოება ძალიან აძნელებს ზარბაზნების ზიდვას.—სალდათებს ძალიან უყვართ სტესელი.—პორტ-არტურში დარჩენილი ქალები, რიცხვით 200-მდე, ქ-ნ სტესელის ხელმძღვანელობით მუშაობენ და მოწყალების დებად არიან. ამ ქალებმა გადასწყვიტეს, ციხიდან არ წავიდნენ და თავგანწირვით იმუშაონ იაპონელთა თოფის წამალი საუცხოოა. არავითარი კვამლი ამ წამალმა არ იცის. ზარბაზნები მოხერხებულად აქვთ დამალული იაპონელებს. ხშირად ჩინელთა სახლები თვალის დახამხამებაზე იაპონელთა ბატარეებად გადაიქცევა ხოლმე. რუსებმა შეადგინეს მსროლელთა რაზმები, რომელთაც დავალებული აქვთ, სხვათა შორის, ყუმბარების დაზვერა და მტრის ზარბაზნების მოძებნა. ამ ახალმა საქმემ კარგი ნაყოფი გამოიღო. პორტ-არტურში მაღაზიებმა საქონელი თითქმის სულ გაყიდეს. რაც შეეხება შენახულ სურსათის რაოდენობას, ცნობებს არ იძლევიან.

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი („რეიტერის სააგენტო"). ბუენოს-აირესიდან მიღებულ დეპეშაში ნათქვამია: საზღვაო მინისტრი აცხადებს: ის ხმა, ვითომ რუსეთმა ოთხი სამხედრო გემი იყიდა არგენტინისაგან და ლიბავაში მიიყვანა, საფუძველს მოკლებულია: არგენტინას არც ერთი გემი არ მიუყიდნია რუსეთისათვისაო.

შანხაი, 8 სექტემბერი („რეიტერის სააგენტო"). ჩინური გაზეთები იუწყებიან: რუსეთის ელჩი ლესარი შუამდგომლობს, რომ ჩინეთმა მანჯურიის რკინის გზა იყიდოს რუსეთისაგანაო.—პორტ-არტურიდან 7 სექტემბერს გამოსული ჩინელი ამბობს, რადგან იაპონელები განუწყვეტლივ ზარბაზნებს უშენენ ციხეს, პორტ-არტურის ესკადრამ გადასწყვიტა, ამ კვირაა ნავთსადგურიდან გავიდეს და ცინდაომდე მისვლას ეცადოსო.—დაადგინეს, რომ „ასკოლდ"-სა და „გრომოვოი"-ს მეზღვაურები თავ-თავიანთ გემებზე დარჩნენ; მეზღვაურებს ნებას დართავენ, ხან-და-ხან ხმელეთზე გადავიდნენ ხოლმე. რუსის გემებთან შორი-ახლო ჩინეთის მოდარაჯე გემი დადგება.

ტიანძინი, 7 სექტემბერი („რეიტერის სააგენტო"). ჩინეთის მთავრობამ ყველა ძვირფასი ნივთი მუკდენიდან პეკინს გაგზავნა.—რამდენიმე რუსი სინმინტინს მივიდა. ამ ჟამად სინმინტინსა და მუკდენს შუა მგზავრობა თითქმის შეუძლებელია, რადგან მგზავრებს ხუნხუზები ესხმიან თავსა.—შუცაიძისთან 700 კავალერისტია ხუნხუზების ასალაგმავად. ჩინელმა მოხელეებმა 40 ხუნხუზს მოჰკვეთეს თავი. ჯონკებს, რომლებსაც სანოვაგე მიჰქონდათ რუსებისათვის, ხუნხუზები დაეცნენ.

ლასპალმასი, 8 სექტემბერი („რეიტერის სააგენტო"). კრეისერმა „ტერეკ"-მა 1000 ტონა ქვა-ნახშირი მოითხოვა თავის საწყობის გასავსებად.

ბერლინი. 9 სექტემბერი. („ვოლფის სააგენტო"). გერმანიის წითელ ჯვრის საზოგადოებამ კრება მოახდინა და დაადგინა, რომ სამხედრო მოქმედების ასპარეზზე დაჭრილ და ავათმყოფ მეომრების მოვლაში მონაწილეობა მიიღოს. თავმჯდომარეს უფლება მიეცა, ყველაფერი მოამზადოს, რომ საზოგადოებამ რუსეთისა და იაპონიის წითელ ჯვრის საზოგადოებებთან ერთად დახმარება გაუწიოს დაჭრილებს.

10 სექტემბერი

პეტერბურგი. მისის უდიდებულესობის ნამესტნიკმა შორეულ აღმოსავლეთში 6 სექტემბერს შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ხელმწიფე იმპერატორს კონტრ-ადმირალ ესენის მოხსენება წარვუდგინე და თანაც ჩემ მოვალეობად ჩავთვალე, უქვეშევრდომილესად მომეხსენებინა, რომ კრეისერთა მეზღვაურებმა 1 აგვისტოს ბრძოლის დროს დიდი ქველობა გამოიჩინეს. მისმა უდიდებულესობამ ინება და შემდეგის დეპეშით გამაბედნიერა ვლადივოსტოკს, გენერალ-ადიუტანტ ალექსეევს. კრეისერთა რაზმის უფროსს, ოფიცრებსა და მატროსებს ჩემი გულითადი მადლობა გადაეცით იმ მამაცობისა, მედგრობისა და გულადობისათვის, რომელიც 1 აგვისტოს ძლიერ მტერთან ბრძოლის დროს გამოიჩინეს. მეზღვაურებმა ღირსეულად დაიცვეს ანდრიას ბაირაღის სახელი. ნიკოლოზი". ხელმწიფის მადლობის უმოწყალესი სიტყვები ყველა თქვენგანს გაამხნევებს და მომავალში ხელმწიფის [illegible] შობლის წინაშე მოვა[illegible]თა და თავგანწირულებით [illegible]ებს. ეს ბძანება ყველა გემის მეზღვაურებსა და სანაპირო რაზმებს წაეკითხოს. გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი".

ჩიფუ, 8 სექტემბერი („რეიტერის სააგენტო"). იაპონელები მტრედის ბუხტიდან დაგუშანამდე ფორტებს აშენებენ. ერთი ფორტი 4 ათასის მეტრის მანძილზეა აშენებული რუსის მეზღვაურთა ბანაკიდან. პორტ-არტურიდან აქ ცნობილი ვაჭარი კრატცი მოვიდა. საუბრის დროს კრატცმა სთქვა, ზღვაში მიაოდაოს კუნძულების პირდაპირ 150 ჯონკა ვნახე, სანოვაგით დატვირთული და ნიუ-ჩუანისაკენ მიმავალი. 28 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე პორტ-არტურში არც ერთი ყუმბარა არ დაცემულა. კრატცი ამბობს, პორტ-არტურში ყველას ესმის, რომ გენ. სტესელი ერთ-ერთი კაცია, რომელსაც შეუძლიან მეციხოვნე ჯარი განსაცდელისაგან დაიხსნას. როცა სტესელი პოზიციებზე მიდის, სულ უბრალო რუსის ტანისამოსს იცვამს. ხალხი ამბობს, გენერალს ერთი წუთი არა სძინავსო. ადმინისტრაციო საქმეს რომ მორჩება, სტესელი საღამოობით ფორტებს დაივლის ხოლმე და სადმე ან თხრილში ან სანგარზე იძინებს. თავის მეუღლე თან ერთად საავადმყოფოებს ათვალიერებს და ავადმყოფებს სრულის თანაგრძნობით ელაპარაკება. ბრძოლის დროს სტესელი მუდამ გამოსაჩენ ადგილას დგება ხოლმე. თუ რომელიმე აფიცერი მოჰკლეს, გენერალი თითონ დგება იმის ბადლად და თითონ მიჰყავს სალდათები იერიშით. ამნაირი იერიში ყოველთვის გამარჯვებით გათავდება ხოლმე. გენერალი ამბობს: „ისეთ ბრძანებას არ გავსცემ, რომ იმის ასრულება არ შეიძლებოდესო".

ადენი, 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). „სმოლენსკ"-ი და „პეტერბურგ"-ი სუეცისკენ მიმავალნი უნახავთ.

ლიაოიანი, 4 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). რუსებმა დიდძალი ცხენოსანი ჯარი და არტილერია გაგზავნეს იაპონელთა ჯარის დასაზვერად. გუშინ საღამოთი რუსის რაზმი 3 ზარბაზნით იანტაის სადგურს მიუახლოვდა 6,000 მეტრით და რამდენჯერმე გაისროლა ზარბაზანი. სროლამ მთელ დღეს გასტანა. რუსის ჯარი მუკდენის გზაზეა.

ტოკიო, 9 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). თუმცა ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა, მაგრამ სარწმუნო-კია, რომ იაპონელებს თავგამოდებულის შტურმის დროს [illegible]იათ კუროპატკინის სიმაგრე და სხვა სიმაღლეები იტშანის დასავლეთით. რუსები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ეს ადგილები უკან ვეღარ დაიბრუნეს.

ციინდაო, 9 სექტემბერი („რეიტ სააგ."). 10 დღეა, რაც აქ დგანან ნახშირის გემები. ფიქრობენ, რომ ეს ნახშირი პორტ-არტურშია გასაგზავნი. ადმირალი მატუსევიჩი გამოვიდა საავადმყოფოდან. სხვა დაჭრილი რუსნიც რჩებიან.

(ომის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო თანამშრომელი ბ. ს. კ. მოკლედ იხილავს ომის წარსულ პერიოდს. ს. კ. სწერს: „ლიაოიანის ბრძოლით რუსეთ-იაპონიის ომის პირველი პერიოდი დასრულდა. დიპლომატიურ მოლაპარაკებისა და ომის დაწყების დროს რუსული ცრუ პატრიოტული გაზეთები ირწმუნებოდნენ, რუსის ჯარი იაპონიაში გადავა და წელსვე (1904 წ.) ტოკიოში დავწერთ ზავის ხელშეკრულობასო. რუსის საზოგადოებას არწმუნებდნენ, ვითომ რუსეთს ბაიკალის ტბას იქით ნახევარი მილიონი ჯარი ჰყავს შეკრებილიო. მხოლოდ ტიურენჩენის ბრძოლამ გაუხილა ყველას თვალები; თითონ „პატრიო[illegible]ზეთებმაც ჰანგი შესცვალეს და ყვი[illegible]როს, რუსეთი ომს არ აპირობდა და ამიტომ არც ემზადებოდა საომრადაო. მართალია რუსეთი ნამდვილად მოუმზადებელი გამოდგა ომისათვის, მაგრამ უსამართლობა იქმნება ვსთქვათ, ვითომ რუსეთი არც ემზადებოდა საომრადაო. ჯერ კიდევ 1903 წლის ზაფხულიდანვე რუსეთი ჯარსა და ფლოტს ჰგზავნიდა შორეულ-აღმოსავლეთს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯარი და ფლოტი საკმაოდ არ გამოდგა ისეთ მრისხანე მტერთან საბრძოლველად, როგორიც იაპონიაა. ეხლა „მოსკოვსკია ვედომოსტი" ირწმუნებ[illegible] რუსის ლიბერალების ბრალია, რომ რუსე[illegible] სა- [illegible] თვით-მპყრობელი მთავრობა-კი არა, „უნიადაგო" ლიბერალების ჯგუფი განაგებდეს და ვითომ ამ ლიბერალებს ნება არ მიეცეთ მთავრობისათვის, რომ ციმბირის რკინის გზაზე მეორე ლიანდაგი დაეგო, ბაიკალს იქით ნახევარი მილიონი ჯარი შეეყარა და ფლოტის აშენებაზე ნახევარ მილიარდის მაგივრად, მთელი მილიარდი დაეხარჯა. მაგრამ თავი გავანებოთ ამ ჭორებს და ვნახოთ, აქამდე რა ზარალი მოუტანა ომმა რუსეთს. ხალხის და ფულის ზარალის გარდა, რუსეთმა ბევრი ადგილიც დაჰკარგა; სადავო ადგილების მომეტებული ნაწილი იაპონიამ ჩაიგდო ხელში: სახელდობრ კორეია, სამხრეთი მანჯურია მდინარე ხუნხემდე და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული პორტ-არტურს გარდა. ყველა ეს ადგილები ეხლა რუსეთმა ისევ ბრძოლით უნდა დაიბრუნოს, თუ, რასაკვირველია, მოინდომებს და ომ[illegible] გამარჯვებით დაასრულებს. როგორც უნდა დასრულდეს ომი, იმისი თქმა-კი ეხლავე ბეჯითად შეგვიძლიან, რომ ესეთი მძიმე ომი რუსეთს პეტრე დიდის დროის შემდეგ აღარ შეხვედრია. 1812 წელს, ნაპოლეონ I-თან ომი რუსეთმა ნახევარ წელიწადს დაასრულა გამარჯვებით და რუსის ჯარი მხოლოდ ოთხ თვეს იხევდა უკან. ყირიმის ომის დროს 1854 წლის დეკემბრამდე, 7 თვის სამხედრო მოქმედების შემდეგ, მოკავშირეებმა (ინგლისმა, საფრანგეთმა, სარდინიამ) მხოლოდ მცირე ადგილი დაიჭირეს ყირიმის დასავლეთ და სამხრეთ ნაპირებზე და სევასტოპოლის ალყა შემოარტყეს; იმავე დროს მცირე აზიაში ხომ რუსეთი ყველგან იმარჯვებდა და ოსმალეთს ამარცხებდა. ეხლანდელ ომის დროს-კი 1905 წლის ზაფხულისა და შემოდგომაზე ადრე რუსეთს [illegible] ექნება ნამდვილ გამარჯვების იმედი.

ეხლა ცხადად გამოირკვა, რომ იაპონელებს ხმელეთზეც მეტი ძალა აქვთ, ვიდრე რუსეთს. იაპონიამ აქამდე ნახევარ მილიონზე მეტი ჯარი გამოიყვანა: 355 ათასი კაცი მანჯურიაში ჰყავს, 87 ათასი პორტ-არტურთან, 20 ათასი კორეიაში, 60 ათასიც გზაში მოდის,—სულ 522 ათასი კაცი გამოიყვანა 1,700 ზარბაზნით. რუსეთს-კი სექტემბერში 400 ათასი კაცი ეყოლება სამხედრო მოქმედების ასპარეზზე (ვლადივასტოკისა და პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარებიც მითვლილია), ესე იგი 100 ათასით ნაკლები, ვიდრე იაპონიას ჰყავს მოყვანილი. დღემდე იაპონიას მაინც ყოველთვის მეტი ჯარი ჰყავდა; გენ. კუროპატკინს მხოლოდ 23 აპრილიდან 22 მაისამდე ჰყავდა იაპონელებზე მეტი ჯარი. იმ დროს გენ. კუროპატკინს თითონ 150—170 ათასი [illegible] ჰყავდა და პორტ-არტურშიაც გენ. სტესელს 35 ათასი კაცი; სულ რუსებს იმ დროს 185—205 ათასამდე ჰყავდათ. იაპონელებს-კი იმ დროს სულ 150 ათასი კაცი ჰყავდათ (გენ. კუროკის 65 ათასი, ოკუს 85 ათასი), მაგრამ 22 მაისს დაგუშანში გენ. ნოძუს არმია გადმოვიდა და იაპონელების ჯარის რიცხვმა ისევ გადააჭარბა რუსისას. რაკი მეტი ჯარი ჰყავდათ, იაპონელები უფრო მეტ თაოსნობას იჩენდნენ და რუსის ჯარზე მუდამ იერიშით მოდიოდნენ, თუმცა ხან და ხან რუსის ჯარი თითონაც მიდიოდა იერიშით, ასე, მაგალითად, გენ. შტაკელბერგმა სამხრეთისაკენ გაილაშქრა პორტ-არტურის დასახმარებლად. ეს გალაშქრება ვაფანგოუსთან დამარცხებით დასრულდა. მაინც რუსის ჯარის გალაშქრება და იერიშები მუდმივ მარცხით თავდებოდა. ამ დამარცხების მიზეზი ხშირად ისიც იყო, რომ რუსის ჯარი გვიან იწყებდა გალაშქრებას, გვიან მიდიოდა იერიშით; ასე, მაგალითად, აღმოსავლეთის რაზმი ლიაოიანიდან მდინარე იალუსკენ 17 აპრილს დაიძრა; გენ. კუროკის არმია სწორედ იმ დღეს გადმოვიდა იალუზე და მეორე დღეს რუსის ჯარი დაამარცხა. ამნაირადვე, სამხრეთის რაზმს (გენ. შტაკელბერგის კორპუსს) ერთის თვით ადრე, აპრილში რომ გაელაშქრნა, იქნება ამ გალაშქრებას სხვანაირი ბოლო ჰქონოდა. ამ დროს რუსის ჯარი გაცილებით მეტი იყო იაპონელებისაზე და გენ. შტაკელბერგის კორპუსი ცინჩოუს აღებამდე რომ ცოტა ქვევით პულანდიანამდე ჩასულიყო, მაშინ გენ. შტაკელბერგი და გენ. სტესელი ერთად დაეწეოდნენ გენ. ოკუს არმიას და ადვილად დაამარცხებდნენ, მით უმეტეს, რომ იმ დროს გენ. ოკუს ჯერ სრულად არა ჰყავდა ხმელეთზე გადმოყვანილი თავისი არმია. რუსის ჯარმა მაშინ საკმაოდ კარგად იცოდა, რამდენი ჯარი ჰყავდათ იაპონელებს და თუ სამხრეთის რაზმმა არა გაარიგარა, ეს იქმნება იმით აიხსნებოდეს, რომ ტიურენჩენის ბრძოლამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსის ჯარზე.

ეჭვი არაა, მარშალ ოიამას სამხედრო პლანი კარგი გამოდგა. თავის ჯარის მეხუთედი პორტ-არტურს მიუჩინა, უმთავრესის ჯარით გენ. კუროპატკინის წინააღმდეგ გაილაშქრა და უმნიშვნელო სუმბუქ საქმეებს, მაგალითად კუნძულ სახალინისა, ან კამჩატკის დაჭერას არ გამოუდგა. მართალია, პორტ-არტურთან ჯარის დატოვებამ ცოტა შეასუსტა იაპონიის არმიის ძალა, მაგრამ პორტ-არტურს იაპონიისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვაგან ხმელეთზე გამარჯვებას. ე[illegible]ა, ჩემის აზრით, იაპონელებსაც რამდენიმე შეცდომა მოუვიდათ ამ ომის დროს; ალბად, საკმაოდ კარგად არ იცოდნენ, რამდენი ჯარი ჰყავდათ რუსებს მანჯურიაში და ამიტომ ხანდახან ნამეტანის სიფრთხილით იქცეოდნენ. ამას გარდა შეცდომა იყო გენ. კუროკის არმიის ნაწილის გენზანში გადაყვანა და გენზანიდან პინიანამდე გალაშქრება, კანგესაკენ გალაშქრება მდინარე იალუში გასასვლელად, გენ. ნოძუს უკან დახევა ჩაპანლინისა და უიდალინის უღელტეხილიდან და სხვ."

ფრანგულ გაზ. „პტი პარიზიენ"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: გენ. კუროპატკინმა ერთს თავის მეგობარს პეტერბურგში შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „ჩემის ჯარის მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. ველი, რომ მალე დიდი შეტაკება მომიხდება იაპონელებთან. იმედი მაქვს, ამ შეტაკების შემდეგ მხნედ გავილაშქრებ და იერიშს მივიტან იაპონელებზე. ჯანად სრულიად კარგადა ვარ". („ნ. დ.").

„ეკო დე პარი"-ს დეპეშით ატყობინებენ: რუსებმა მდინარე ხუნხეს მარცხენა ნაპირი ძლიერ გაამაგრეს. მუკდენს უბრძოლველად არ დასთმობენ, თორემ რუსეთს სახელი გაუტყდება ჩინეთში. ბრძოლა მუკდენის სამხრეთით მოხდება და თუ იაპონელები ხუნხეში გასვლას მოახერხებენ, მაშინ მუკდენის აღმოსავლეთით მოხდება.

„სტანდარდ"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: რუსები ტელინის პროვინციაში, ლიაოხეს დასავლეთით, ჩინეთის სამფლობელოში სიმაგრეებს აშენებენო. რუსებს პატარა-პატარა რაზმები უდგათ სინმინტინ-მუკდენის გზაზეო.

„ინდეპ. ბელჟ"-ს დეპეშით ატყობინებენ: თუ ბრძოლა მუკდენთან არ მოხდა, ტელინთან-კი უსათუოდ მოხდებაო. იაპონელები არას დროს არ იზამენ, რომ გენ. კუროპატკინმა უბრძოლველად, დაუბრკოლებლივ დაიხიოს ხარბინამდე და იქ გამაგრდესო. („ნ. დ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი სწერს: რუსის მთავარ-შტაბს ამნაირი სამხედრო პლანი ჰქონდა შედგენილი. სექტემბერში გენ. კუროპატკინს 220 ათას კაცით პორტ-არტურისაკენ უნდა გაელაშქრა. ამავე დროს გენ. ლინევიჩი 100 ათას კაცით კორეისაკენ უნდა წასულიყო და იაპონელების ჯარს ზურგიდან მოჰქცეოდა. გენ. კუროპა[illegible] ლიაოიანში ჰყავდა კიდევაც 220 ათასი კაცი, პირველი არმიისა და მეექვსე ციმბირის კორპუსები-კი ვლადივოსტოკს უნდა გაეგზავნათ გენ. ლინევიჩისათვის. ლიაოიანის ბრძოლამ ეს პლანი ჩაშალა და ეხლა ხსენებული ორი კორპუსი ტელინში გაეგზავნება გენ. კუროპატკინს. („ნ. დ.").

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება: ტოკიოში ამბობენ, იმიერ ბაიკალისა და მანჯურიის რკინის გზისათვის ქვა-ნახშირი რუსებს სამის მაღაროდან მიჰქონდათ: გაიპინგისა, იანტაისა და ფუშუნის მაღაროებიდან. გაიპინგისა და იანტაის მაღარო[illegible] იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში, მესამე, ფუშუნისა, მუკდენიდან 23 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეს, მდ. ხუნხეს ნაპირას და ამ მაღაროსაც მალე დაიჭერენ იაპონელებიო. შანჰაიდან მოსული ვინმე სოიკა სწერს „ნ. ფრ. პრესე"-ში: ამ ჟამად ხსენებულ მაღაროებს არაფერი მნიშვნელობა არა აქვთ მანჯურიისა და იმიერ ბაიკალის რკინის გზებისათვის. რადგან ყველა ლოკომოტივს ამ გზებზე მხოლოდ შეშით ახურებენ, ქვანახშირს ვაგონებისა და დარაჯთა კაზარმების გასათბობადაც-კი არა ხმარობენო. („ბ. ვ.").

ამას წინად ვლადივასტოკის საპრიზო სასამართლომ, რაც დაჭერილ გემ „კალხას"-ზე საკვები სურსათი ედო, სამხედრო კონდრაბანდად იცნო და გემს ჩამოართვა. [illegible] დადგენილებამ ძლიერ აალელვა ინგლი[illegible] ხალხი და პრესა. ინგლისურ გაზეთებს [illegible] აქვთ, რომ უმაღლესი ინსტანცია პეტ[illegible]ბურგში არ დაამტკიცებს ამ დადგენილებ[illegible], რადგან ვლადივასტოკის სასამართლომ არ[illegible]ფრად ჩააგდო ინგლისის მთავრობის პროტესტი სამხედრო კონდრაბანდის თაობაზეო. თუ რუსეთი ინგლისის სურვილს არ შეასრულებს, მაშინ ინგლისელმა ვაჭრებმა ომის დროს სულ ხელი უნდა აიღონ იაპონიასთან აღებ-მიცემობაზეო. („ბ. ვ.").

პორტ-არტური. პარიზში ამბავი მისულა, იაპონელებმა სექტემბრის პირველ რიცხვებში პორტ-არტურთან რამდენიმე მნიშვნელოვანი ფორტი ჩაიგდეს ხელშიო; ერთი ფორტი ოქროს გორიდან 3 კილომეტრის მანძილზე დევს აღმოსავლეთ მხარეს. ამბობენ, ყველაზე მეტი მნიშვნელობა ამ ფორტს აქვსო. („მ. ვ.").

ლონდონიდან ატყობინებენ „ლოკალ ანცაიგერ"-ს: 28 აგვისტოს ჩიფუში პორტ-არტურიდან ერთი ჩინელი მოვიდა და ამბავი მოიტანა. რუსის სალდათები მარტო ცალიერ შავ პურსა სჭამენ, წვნიანი მეტად იშვიათად ეძლევათ. ხორცს მარტო უმაღლესი აფიცრები სჭამენ. იაპონელებმა მტრედის („გოლუბინაია") ბუხტის ჩრდილოეთ ნაპირას დიდი ფორტი ააშენეს. პორტ-არტურში რუსებს 18 დიდი და 40 პატარა საავადმყოფო აქვთ გამართულიო. („ნ. დ.").

ფრანგულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: ამ დღეებში აქ პორტ-არტურიდან ნავით ჩინელები მოვიდნენ. ჩინელები თითქმის გაგიჟებულიყვნენ სიხარულისაგან, როცა პორტ-არტურიდან—ამ ნამდვილ გახურებულ თონიდან—გამოსულიყვნენ; სიხარულისაგან სულ კიოდნენ და ტიროდნენო. („ნ. დ.").

„ინდეპ. ბელჟ"-ი იუწყება: ერთმა ჩინელმა ილაპარაკა ჩიფუში, იაპონელები პორტ-არტურთან ისეთსავე აეროსტატს ხმარობენ, როგორიც სანტოს დიუმონმა გამართაო. გენ. ნოგიმ ბრძანება გასცა, რუსის ჯარს საქმე გაუჭირეთ, ყოველ-ნაირი სამხედრო ხერხი იხმარეთ და ყუმბარა და პატრონ[illegible] ტყუილ უბრალოდ დაახარჯვინეთო. („მ. ვ.").

გერმანიისა და საფრანგეთის საზღვაო [illegible]ნებმა გინგლგეიმი და კიუვერვი[illegible] ლის ნავით [illegible]ვან და დღემდე ვერ [illegible] თაუვიდათ. საფრანგეთის საზღვაო მინისტრს უთქვამს ერთის ჟურნალისტისათვის, ბევრი ვეძებეთ, ბევრი ვიკვლიეთ, მაგრამ ვერს[illegible]; იქნება ისევ პორტ-არტურში და[illegible]. საფრანგეთის მთავრობამ მაინც სთხოვა იაპონიის და რუსეთის მთავრობებს, გაგვაგებინეთ, პორტ-არტურში ხომ არ არიან აგენტებიო.

„ბერლ. ლოკალ. ანცაიგერ"-ს ატყობინებენ დეპეშით, პეტერბურგში ჰფიქრობენ, ალბად, სამხედრო აგენტებს ჩინელი ყაჩაღები ჩაიგდებდნენ ხელშიო. („ნ. დ.").

„მატენ"-ი იუწყება: იაპონელები ახალ მედგარ შტურმისათვის ემზადებიან. იაპონიის აგენტები ჩიფუში ირწმუნებიან, პორტ-არტურს ერთ თვეზე ადრე აიღებს ჩვენი ჯარიო. დალნიში იაპონელებმა კიდევ მიიტანეს დიდი ზარბაზნები პორტ-არტურისათვის. („ბ. ვ.").

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში სწერია: „ის ცნობა, ვითომ გენ. ლინევიჩი 50 კაცით კორეიაში ჩავიდაო". უნდა იყოს: „ის ცნობა, ვითომ გენ. ლინე[illegible]ვიჩი 50 ათასის კაცით და სხვ."

ომში

[illegible]ლნი, დაჭრილნი და ტყვედ ჩავარდნილნი

[illegible]კარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ბრძოლის ველზე დარჩენილთა სიას:

ლიაოიანის ბრძოლაში მოკლულ იქნენ: კაპიტანი—ვერიგო, პორუჩიკი—ბენესკული, პოდპორუჩიკები—ხრუშჩევი, რუმიანცევი, პრაპორ[illegible] [illegible] როტმისტრი კუზმინი, სოტნ[illegible] [illegible]

დაიჭრნენ: კაპიტნები—ნეცვეტაევი, ფროლოვი და მიხაილოვი, პორუჩიკი—ბოლვანოვიჩი, პოდპორუჩიკები—ლებედევი და ბოროდკინი, როტმისტრი—გოლანდსკი.

ბრძოლის ველზე დარჩა: პორუჩიკი—[illegible].

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 9 სექ[illegible] განიხილა ქალალდი დედათა პირ[illegible]ის დირექტორისა. დირექტორი [illegible] გამგეობას, ქალაქის სტიპენდიები [illegible] უმთავრესად იმათ ქალებს, რომელნიც ეხლანდელ **ომში დაღუპულან.** გამგეობამ დაადგინა, აცნობოს დირექტორს, რომ ქალაქის გამგეობა სტიპენდიების დანიშვნის დროს ხელმძღვანელობს მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესებით და თუ ვინიცობაა, ომში დახოცილთა შვილებს შორის აღმოჩნდა ისეთი მთხოვნელი, რომელიც თავისი მდგომარეობით დააკმაყოფილებს წესების მოთხოვნილებას, უპირატესობა იმათ მიეცემათ.

◆ „ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობის თხოვნით, ტფილისის ქალაქის საბჭომ ვოლოვოზნი ქუჩას დაარქვა **აკადემიკოსის ბროსეს** სახელი. საბჭოს დაწყვეტილებისამებრ, ეს ამბავი ეცნობა განსვენებულ ბროსეს შვილს, ბარცელონაში რუსეთის საგენერალო კონსულს, ლ. ბროსეს, რომელიც მადლობას უხდის ქალაქის საბჭოს განსვენებულის სახელის აღნიშვნისათვის და სწერს, პატარაობიდანვე მოწამე [illegible]ყავ მამი ჩემის გულწრფელი გატაცებისა ქართველთა ისტორიის ძველ მასალათა შეკრებლობა-შესწავლის დროს; განსვენებულს უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი და მეც აღთქმა დამიდო, შემესწავლა ქართული ენა, ლიტერატურა და ქართველთა ერის წარსული ცხოვრება. ტფილისის საბჭოს დადგენილება აორკეცებს ჩემ ღრმა თანაგრძნობას ქართველ ერის ცხოვრების წარმატებისადმი.

◆ დღეს, 11 სექტემბრისთვის დანიშნულია სხდომა ქალაქის **სახანიტარო კომისიის.**

◆ 9 სექტემბერს ტფილ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე, რომ ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებას დაეთმოს უსასყიდლოდ ერთი ნაჭერი ადგილი სატივოზე, იქ, სადაც ვერა მტკვარს ერთვის, **საბავშვო ბაღისა და გასართობების** გასამართავად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თხოვნა **დიდუბესა და** [illegible]ში **კანტორების გასამართავად** [illegible]ის დათმობისა და ყოველ წლიურად 2000 მანეთის გადადების შესახებ. გამგეობამ დაადგინა, ეს თხოვნა ქალაქის საბჭოს გადასცეს და ურჩიოს, [illegible]-ტელეგრაფის განყოფილებანი და[illegible]დება, ქალაქმა ამ საქმისათვის 2000 მანეთი გადასდოს.

◆ გუშინ ვწერდით, რომ ერევანსა და [illegible]ში გაიმართება კავკასიის **ბამბის მომყვანთა და ბამბის მრეწველთა კრებები.** აქვე მოგვყავს პროგრამა, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს. 1. რა პირობებია საჭირო, რომ ხელი შეეწყოს ამიერ-კავკასიაში მებამბეობის გაძლიერებას? რომელს კუთხესა და რამდენად არის შესაძლებელი გაძლიერება? 2. შესაძლებელია თუ არა მეურნეობის ამ დარგის გაძლიერება მორწყვის ეხლანდელ წესის შეუცვლელად? შეიძლება თუ არა მოურწყველად რაიმე სხვა საშუალებით დამუშავდეს მიწა ბამბის მოსაყვანად? 3. ამიერ-კავკასიის რომელ კუთხეში უფრო შესაძლებელია მებამბეობის გაძლიერება? 4. რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული [illegible]ობის ამ დარგის გასაფართოებლად [illegible] ტეხნიკისა, ისე ეკონომიურის [illegible] როგორ მოეწყოს და განხორციელდეს ეს საშუალება? 5. რა საშუალებით შეუძლიათ მებამბეებმა მოიპოვონ ადვილი და იაფი კრედიტი? 6. რა მიზეზია ადგილობრივ ბამბის ვაჭრობის შემაფერხებელი და რა საშუალებანი უნდა იქნეს მათ აღმოსაფხვრელად ხმარებული; 7. რა ღონეა საჭირო, რომ მრეწველმა მეურნეებმა მიიზიდონ მუშა ხელი ბამბის დათესვა, მოვლა-[illegible]ანისა და დამზადების დროს და 8. რის [illegible]ალება შეუძლიათ მებამბეებს იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც უნდა გაწეულ იქმნენ ამ დარგის გამაუმჯობესებელ საშუალებათა განსახორციელებლად.

◆ **ტფილისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში** განმეორებითი და მისაღები ეგზამენები მოხდება 11 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. ვაკანსიები არის მხოლოდ პირველ კლასში და მოსამზადებელ კლასის ანბანისა, უმცროს და უფროს განყოფილებებში. ამ ჟამად სასწავლებელში ითვლება 191 პანსიონერი და 147 გარედან მოსიარულე, სულ 338 ქალი. სტიპენდიანტი ქალი 42-ა.

◆ **ტფილისის გუბერნიის საქარხნო ინსპექტორად** დაინიშნა ოლონეცის გუბერნიის საქარხნო ინსპექტორი კუხტა.

◆ **ტფილისის სახაზინო პალატის** უფროსის თანაშემწედ დაინიშნა კოშელევი, რომელიც გადასახადთა ინსპექტორად იყო დღემდე შიდა რუსეთში.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში, ლიუტერანთა ეკკლესიის პირდაპირ, 8 სექტემბერს, საღამოთი, ცხენის რკინის გზის ვაგონზე ჯდებოდა რაჭის მაზრის მცხოვრები იოსებ რაგოლაშვილი. რაგოლაშვილი ვაგონზე დაჯდომის დროს ვიღაცას იარაღით სასიკვდილოთ დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. დამნაშევის ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

◆ პოლიციის პირველ ნაწილში, ბებუთოვის სახლში, ტფილისის მეორე გილდის ვაჭრის ივანე პრეიფერის ბინაზე, 8 სექტემბერს, ნახეს ჩამომხრჩვალი ვაჭრის მსახური ეკატერინე ი. დერგულოვასა. გვამი გარდაცვალებულისა მიხეილის სამკურნალოს სანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების სამინისტრომ უბრძანა უნივერსიტეტების საბჭოებს, ყურადღება მიაქციონ მასწავლებლებს, რომ მსმენელთა მცირე რიცხვის მიზეზით არ დაიგვიანონ ხოლმე და დროზე იკითხონ ლექციები. ცირკულიარში ნათქვამია, რომ მხოლოდ მასწავლებელთა მიერ თავის მოვალეობის მტკიცედ შესრულებას შეუძლიან აღმოფხვრას სტუდენტთა შეცდომანიო. რადგანაც ზოგიერთი პროფესორი სხვა უწყებების სასწავლებელშიაც ასწავლის და ამის გამო უნივერსიტეტში ლექციებზე იგვიანებს, მინისტრმა სურვილი განაცხადა, რომ ეს პროფესორები ეცადნენ მოვალეობა რიგიანად აასრულონ.

◆ ამ 1904—1905 წ. გამოცდაზე თუ სტუდენტი მიიღებდა ერთ 2-ს, ამისთანა სტუდენტი გადაჰყავდათ შემდეგ კურსზე. ამ წლიდან კი, გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტროს მიერ გამოცემულ ცირკულიარის ძალით, ვინც ერთ 2-ს მიიღებს, დარჩება იმავე კურსზე.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა გუბერნატორებს ცირკულიარი იმის შესახებ, რომ ამათ მოახდინონ განკარგულება და ჩქარა გაატარონ მცხოვრებლებს 1904 წ. 7 ივნისის კანონი. ჯარში გასაწვევთა შემოწმება უნდა ხდებოდეს იქ, სადაც ისინი სცხოვრობენ და არა იქ, სადაც გასაწვევად მიწერილნი არიან. თხოვნებიც ამისდაგვარად უნდა იგზავნებოდეს.

◆ მდგომარე წლის 11 აგვისტოს გამოცემულ მანიფესტის ძალით, ეძლევათ ნება უფასოდ მგზავრობისა სახელმწიფო რკინის გზებზე მე-3 და მე-4 კლასის ვაგონებში იმათ, რომელნიც იყვნენ ადმინისტრატიულად გაგზავნილნი ციმბირისა და არხანგელსკის გუბერნიაში და ბრუნდებიან სამშობლოში. ვისაც უნდა ისარგებლოს ამ შეღავათით, უნდა მიმართონ თხოვნით იმ გზების უფროსებს, სადაც უნდა გაიარონ და წარუდგინონ გუბერნატორის მოწმობა სამშობლოში წასვლის ნებართვის შესახებ.

◆ პეტერბურგში საერობო სასანიტარო ექიმთა კრება გადაიდო, რადგან მონაწილე მრავალი ექიმი შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნა.

◆ ნიკოლაევიდან იტყობინებიან, რომ იქაურ სამოქალაქო საავადმყოფოში მიიყვანეს მშობიარე. ექიმმა ქალმა მარიამ პეტერსმა, რომელიც ამ დროს მორიგე იყო, მიიღო მშობიარე და სცდილობდა შეემსუბუქებინა მშობიარის ტანჯვა. ექიმმა ქალმა, როგორც მიღებულია ამისთანა შემთხვევაში, გაუკეთა ოპერაცია, რომელიც ცუდად დაბოლოვდა და მშობიარე გარდაიცვალა. ამ შემთხვევამ ისე იმოქმედა პეტერსზე, რომელიც თავის თავს სთვლიდა მშობიარის სიკვდილის მიზეზად, რომ გავიდა სამორიგეო ოთახში, კოკაინი შეიშხაპუნა კან ქვეშ და თავი მოიკლა. პეტერსმა წერილი დაუტოვა თავის მოხუც დედას და ყველაფერი შეატყობინა. ექიმი პეტერსი ყველას უყვარდა და ყველანი დაალონა იმისმა სიკვდილმა.

◆ მინსკიდან იწერებიან, საშინელ სურათს წარმოადგენდნენ ჩვენი სასწავლებლები მოსწავლეთა მიღების დღეს. მრავალი ბავშვი არ მიიღეს. სტიროდნენ ბავშვებიც და მშობლებიც. რა ეშველება ამოდენა ბავშვებსა. მინსკი დიდი ქალაქია, ელექტრონით განათებული, წყლის მილებ გაყვანილი და სხვაფრივაც მოწყობილი, მხოლოდ— არაა სასწავლებლები, სადაც ბავშვებმა განათლება მიიღონ. ასი ათას მცხოვრებს აქვს ვაჟების ერთი გიმნაზია, ორი ქალებისა, 1 რეალური სასწავლებელი, ერთი სამოქალაქო და 3 ებრაელთა სასწავლებელი.

◆ იაროსლავიდან იწერებიან, რომ მშობლებს აშინებს თავიანთ შვილების ბედ-იღბალი, არ იციან, რანაირად ასწავლონ ცოტაც არის მაინც ბავშვებს. მთელ იაროსლავში, სადაც თითქმის 80 ათასი მცხოვრებია, ერთი გიმნაზიაა. იქაც საშინელი სივიწროვეა. უარეს მდგომარეობაშია ქალების გიმნაზია, ერთად-ერთ სამოქალაქო სასწავლებელზე ლაპარაკიც არა ღირს, რადგან მთხოვნელების ნახევარსაც არ ღებულობენ.

სასამართლო

I

ბოქაულისთვის წინააღმდეგობის გაწევა

თავ. მინგრელსკისათვის მოურავს თავ. ჩიქოვანს უცნობებია 1902 წლის აგვისტოს, რომ ცაგერის საბოქაულოს სოფელ ზარაფულის მცხოვრებნი, კოპალიანები, თქვენს ტყეში შევიდნენ, ჰკაფავენ და საყანედ ამზადებენო. თავ. მინგრელსკის თხოვნით, ლეჩხუმის მაზრის უფროსს ამ საქმისთვის ბოქაული გაუგზავნია. ბოქაულს საერობო დარაჯენი წაუყვანია, რომ გლეხები ტყიდან გაედევნა. ტყეში 60 კაცი იყო თურმე და სჩეხავდა ტყეს. ბოქაულს უბრძანებია, შეეჩერებინათ მუშაობა და წასულიყვნენ ამ ადგილიდან, მაგრამ გლეხებს ისევ ისე განუგრძიათ მუშაობა. მაშინ ბოქაულს დარაჯთათვის უბრძანებია, ძალით გაედევნათ გლეხები. გლეხებს ზოგს კეტისათვის, ზოგს ცულისა და სხვა იარაღისათვის უტაცნიათ ხელი და გამოუცხადებიათ ბოქაულისათვის, თავი დაგვანებეთ, ძალას ნუ იხმართ, თორემ სისხლი დაიღვრებაო. ბოქაული წასულა, მხოლოდ ზოგიერთების სახელი და გვარები ჩაუწერია. პასუხის გებაში მიუციათ სამსონ, ნესტორ, ლუარსაბ, ლევან, იაკობ, ანდრია და სხვა კოპალიანები, 29 კაცამდე, და [illegible] ბეიდელიანი. ეს საქმე ამას წინად განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი ბოქაულისთვის სამსახურის აღსრულების დროს წინააღმდეგობის გაწევაში და გადაუწყვეტია—სამსონ, [illegible], ლუარსაბ, ლევან, იაკობ, ფარნაოზ, მიხეილ და კოსტა კოპალიანებისათვის 7 დღით საპყრობილეში დაპატიმრება, ხოლო დანარჩენ 1 კაცისთვის პოლიციასთან 7 დღით დაპატიმრება. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს განაჩენი გაუსაჩივრებიათ სამოსამართლო პალატაში. პალატამ ეს საქმე გაარჩია სექტემბერს, დამნაშავედ იცნო ყველა ბრალდებული და დამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, მაგრამ უმაღლესის მანიფესტის ძალით სასჯელი ერთი მესამედით შეუმსუბუქა.

II

სოფლის მამასახლისი და მწერალი

9 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თიონეთის მაზრის ახმეტის სოფლის საზოგადოების მამასახლისად ნამყოფის მიხეილ კიპროწაშვილისა და ამავე საზოგადოების სოფლის მწერლის გიო სეხნიაშვილისა, რომელთაც სამსახურის აღსრულების დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდათ. სოფელ ახმეტის მცხოვრების დიმიტრი გილაძიშვილის სიკვდილის შემდეგ იმისი ცოლი მეორედ გათხოვილა დავით კოტორაშვილზე. კოტორაშვილის ცოლი მალე გარდაცვლილა, რის გამო იმასთან მისულა ცოლის წინანდელ ქმრის ძმა, მახარა გილაძიშვილი, და უთქვამს, ჩემის რძლის აპეკუნი ვარ და რაც თამასუქები დარჩა, გადმომეცი, იმის შვილებს უნდა მოვახმაროო. კოტორაშვილს უარი უთქვამს, რის გამოც გილაძიშვილს საჩივარი აღუძრავს. სასამართლოში გაუგია, რომ რძლის თამასუქები მეორე ქმარზე, კოტორაშვილზე, ყოფილა გადაცემული. ამ გადაცემას ხელი მოუწერია სოფიო კოტორაშვილის მაგივრ[illegible] სოფლის მწერალს გიო სეხნიაშვილს, ხ[illegible] მოწერა შეუმოწმებია მამასახლის კიპ[illegible]შვილს ბეჭედის დასმით. გილაძიშვილს გაუგია ისიც, [illegible] ეს თამასუქები სოფიო კოტორაშვილის გარდაც[illegible]ლების შემდეგ გადაუციათ და დაუმტკიცებიათ. [illegible] ამბავი გილაძიშვილს განუცხადებია ტფილისის გუბერნიის გამგეობისთვის, რომელსაც საქმე განუხილავს და გადაუწყვეტია, პასუხის გებაში მისცეს სოფლის მწერალი და მამასახლისი. ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას ეს საქმე განუხილავს თიონეთში, დამნაშავედ უცვნია ორივე ბრალდებული და გადაუწყვეტია მათთვის ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთი წლით გაგზავნა. ბრალდებულთ საქმე გადმოუტანიათ სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 10 სექტემბერს დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

III

ქურდობა

პრინცესა კაჯარისას ბათუმიდან ბაგაჟით გამოუგზავნია ტფილისში ერთი კალათა, ნივთებით სავსე. როცა ტფილისში ჩამოსულან, კალათაში აღარ აღმოჩნდა, 1700 მან. ღირებული ნივთები: ბრილიანტის საგული, სამაჯური ბრილიანტით მორთული და სხვ. ეჭვი მიიტანეს ბაგაჟის ვაგონის კონდუქტორზე თავ. ვიქტორ ჩიჩუაზე, რომელმაც უარი განაცხადა, მე ნივთები არ მომიპარავსო. როგორც გამოირკვა, პრინც კაჯარის დაურწმუნებია ჩიჩუა, არ ვიჩივლებ, თუ ნივთებს გამოაჩენო. ამის შემდეგ, მოწმეების ჩვენებით, ჩიჩუას წაუყვანია პრინცი და ნივთები დაუბრუნებია. ჩიჩუა პასუხის გებაში მიუციათ. ეს საქმე გაარჩია გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ, დამნაშავედ იცნო ჩიჩუა და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა.

თეატრი

ქართულ წარმოდგენების სეზონი ტფილისში დაიწყება 23 ამა სექტემბერს. პირველი წარმოდგენა გაიმართება გ. ერისთავის სახსოვრად, რომლის გარდაცვალების შემდეგაც 40 წელიწადი შესრულდა. წარმოდგენილი იქნება თითო-თითო მოქმედება გ. ერისთავის პიესებიდან; სხვათა შორის, პირველად დაიდგმება რამდენიმე ადგილი „შეშლილიდან"; გაიმართება აგრეთვე დივერტისმენტი და აპოთეოზი. შემდეგი წარმოდგენები იქნება კვირას, 26 სექტემბერს, „მოჩვენებანი" იბსენისა და ხუთშაბათს, 30-ს, ცნობილი პიესა ბარეტისა ქრისტიანობის პირველ დროიდან „ახალი მოძღვრება". ამ პიესისათვის მზადდება ახალი ტანისამოსები. ამხანაგობას განზრახული ჰქონდა სეზონი „ორლეანელ ქალით" დაეწყო, მაგრამ რადგან ეს პიესა რთულია და ბევრს შრომას მოითხოვს, იგი წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ნოემბერში. როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, ხუთშაბათობით, ყოველთვის ახალ-ახალი პიესები იქნება წარმოდგენილი. ამხანაგობა, სხვათა შორის, დასდგამს შემდეგ ახალს პიესებს: „მოჩვენებებს" და „საზოგადოების ბურჯებს" იბსენისას, ჰაუპტმანის „სულით ობოლთ", როზა ბერნდტს" და „მზის ამოსვლამდის", ზუდერმანის „მამულს" და „ფრიცხენს", „გაიოს გრაკხს", მონტისას, „მადმუაზელ ფიფის", დრეიერის „მასწავლებელს", ბიორნსონის „ახალ ჯვარდაწერილებს", შნიტცლერის „მწვანე თუთიყუშს", შექსპირის „იულიუს კეისარს", შილლერის „ორლეანელ ქალს", ჯიაკომეტის „იუდითს", ბრიეს „წითელ მანტიას", ფილიპპის „კაცობრიობის მხსნელთ", მირბოს „საქმის კაცს", ევრიპიდეს „მედეას", აზიანის „სამშობლოს ბურჯებს", რამიშვილის „მეზობლებს", ევდოშვილის „ჭრელ სუფრაზე", დედაბრიშვილის ისტორიულ პიესას „თავად შიოს" და სხვ.—რეჟისორებად მოწვეულნი არიან ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და კ. მესხი, რომელნიც ირეჟისორებენ მორიგეობით.

—

დღეს, 11 სექტემბერს, სახალხო თეატრში ავჭალის ქუჩაზე ქართულ სექციის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება თავ. დ. ერისთავის დრამა „მეორედ გაუმაწვილება". წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე. ეს პირველი წარმოდგენა იქნება ამ სეზონში.

წერილები

ყვირილა. სამი კვირაა, რაც ხიდზე სიარული ცხენითა და ურმით აკრძალეს და, ვერ წარმოიდგენთ, რა გაპირვებითა და შიშით გადიგამოდიან ფონში. ამ რამდენისამე წლის წინად, როცა ეგეთე ხიდი აკავებული იყონ, ფონში გასვლის დროს ერთი კაცი [illegible] კეთილ[illegible]მალვე არ შეაკეთებინათ, სხვა უბედურებაც [illegible], ეს ითქმის ახლაც საჭიროა, რაც შეიძლება მალე, შეკეთდეს. მარტო აკეტვა მისი საქმეს ვერას შველის.

წრევანდელი [illegible] მოსავლით არ იქნება ისე[illegible] ნაყოფიერი, როგორაც [illegible]ოდით. [illegible] მინდი გვალვისაგან არ გაიზარდა, [illegible] ძლიერ პატარა [illegible] და ძლიერ უხვავია. [illegible] თუმცა ძლიერ ესხა, მაგრამ [illegible] დროს მტევნებს [illegible]ები შეახმა და სცვივა [illegible], რაიც იმის [illegible] უხვავოდ გახდის. [illegible] სიძვირე [illegible] ახსოვს. ფუთი იყიდება 1 მ. 30 კ.—2 [illegible] ლება კიდეც [illegible], რადგან [illegible] მოსავლიან[illegible] წყაროს [illegible] ვლისას ღვინო შე[illegible]. მაგრამ [illegible], რომ საპალნე 12 მ.—20 მ. იყიდება. [illegible] გაით ბევრმა არ გაყიდა [illegible] ღვინო იმ იმედით, რომ მომავალში ფასი მოემატებოდა, მაგრამ [illegible] ჩლანდელი რომ მოემატება, [illegible] გაიაფდეს საქონლის პირ-

მა ს. სეირსა და ზეგანში იჩინა თავი, რის გამო შეკრეს გზები და არავის უშვებენ აქეთკენ. მიუხედავად გზების შეკვრისა სხვა სოფელშიც იჩინა თავი და თუ ბეითალთა რიცხვი არ მოგვიმატეს, მთელს ზემო იმერეთს მოედება და მუსრს გაავლებს საქონელს. საქალაქო სკოლის ბავშვები მარტო მეოთხე კლასში მიიღეს, სხვა კლასებში არ იყო მიღება; არც პირველ დაწყებით სკოლაში იყო მიიღება, რის გამო ბევრი ბავში დარჩა სკოლის გარეშე.

საყულიელი.

ოზურგეთი. ყველა ქალაქი სუფთავდება და ემზადება ხოლერის დასახვედრად და მხოლოდ ოზურგეთია ყურ მიგდებული. ოზურგეთის „მამები და სანიტარები“ ყურადღებას არაფერს აქცევენ და გაიძახიან: „ჩვენზე შორს არის ხოლერაო“. ფეხს ვერ გადასდგამთ ოზურგეთში, რომ ძაღლის ან კატის გახრწნილ ლეშს არ წააწყდეთ. შუაგულ ბაზარში ღორები თავისუფლად დასეირნობენ და თავიანთ თავს ბატონებათ ჰგრძნობენ, რადგან მოქალაქის სრული უფლება მოპოვებული აქვთ. პირუტყვებს თქვენი პირი წაუღია, ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ უარეს სიბინძურეს არ ნახავდეთ. შუაგულ ოზურგეთში პატარა ღელე ჩამოდის, ამ ღელეზე წამომდგარია „კლოზეტის ბუტკები“ და სიბინძურე ჩადის ღელეში. ზაფხულობით ეს ღელე შრება ხოლმე და სიბინძურე ღელის კიდეებზე რჩება. წარმოიდგინეთ, რა საშინელი სუნი უნდა დგებოდეს. ამ ბინძურობას არავინ ყურადღებას არ აქცევს. შეიძლება „სანიტარებმა“ თავის გასამართლებლად სთქვან: „ღელის წყალს ოზურგეთელები სასმელად არა ხმარობენო“. მთელი ოზურგეთის ნოქრები დილაობით ამ ღელეში იბანენ პირს, მედუქნეები ჭურჭელს რეცხავენ და ხშირად ჩამოსულ სოფლელს დაინახავთ, რომ ამ ღელის წყალსა სვამდეს!

ზაქარია ნაკაშიძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 სექტემბერი

პეტერბურგი. მიღებულ განმარტების თანახმად, სიმართლეს მოკლებულია „რეიტერის სააგენტო“-ს შანხაიდან გაგზავნილი ცნობა, ვითომ ლესარს შუამდგომლობა აღეძრას ჩინეთის მთავრობის წინაშე მანჯურიის რკინის გზის შეძენის შესახებ.

პარიზი, 9 სექტემბერი. მუკდენის სამხრეთით პაიტაპსა და სუნიდან რუსის დიდმა რაზმებმა გუშინ დაზვერეს ადგილები. ამ რაზმებს უნდა გამოერკვიათ, საჭიროა თუ არა რუსის მთავარი ჯარი სწრაფად შეიკრიბოს ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე. დაზვერვის დროს გამოარკვიეს, რომ იაპონელებს ამას წინად ახალი ჯარი მიშველებიათ.

ლასპალნასი, 9 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). კრეისერი „ტერეკ“-ი შეუდგა ნახშირით დატვირთვას. დილის 3 საათზე მოხელეებმა ბრძანება მიიღეს, რუსის გემს აღარ მიაწოდონ ნახშირი, წყალი და სურსათი. „ტერეკ“-ის დატვირთვა დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქმნა. კრეისერს ბრძანება მიუვიდა ამ დილით ნავთ-სადგურიდან გავიდეს, მაგრამ ამ ბრძანების ასრულება არ შეუძლია, რადგან მანქანების შეკეთებას შეუდგა.

მუკდენი. (ბერლინში მიღებული ცნობა), 9 სექტემბერი. ყოველ საათს მოელიან ბრძოლის დაწყებას. ფიქრობენ, რომ პირველი შეტაკება მოხდება ფუშუს მახლობლად, მუკდენის აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან 48 კილომეტრის მანძილზე.

მოსკოვი, 9 სექტემბერი. შორეულ აღმოსავლეთიდან დღეს მოვიდა ტრანსპორტი 68 დაჭრილ და 100 ავადმყოფ მეომრებისა. მოვიდა აგრეთვე ტყვეობიდან გამოქცეული სალდათი აღმოსავლეთ ციმბირის მე-23 პოლკისა მარკოვსკი. იაპონელებს უწამებიათ თურმე, რომ გაეგოთ ჩვენი ჯარის ამბავი. ქალაქის რწმუნებული დეპეშით იტყობინება, რომ სპასკის საავადმყოფოში დავაწვინეთ ლიაოიანის ბრძოლაში დაჭრილი 120 სალდათი და 2 ოფიცერი. რწმუნებული ტუჩკოვი თხოულობს 50 ათას ჭრილობების შესახვევ მასალას.

ტიანძინი. 9 სექტემბერს („რეიტერი სააგ.“). რუსეთის ცხენოსან რაზმებს კარგა ადგილი უჭირავთ მდ. ლიაოს მარჯვენა ნაპირზე, [illegible] ნიდან დასავლეთისაკენ.

ტოკიო, 9 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). თავის დაწვრილებითი მოხსენებაში გენერალი [illegible] სწერს ლიაოიანთან მომხდარ ბრძოლის შესახებ, რომ რუსები მტკიცეთ იცავდნენ პოზიციებს, განსაკუთრებით შუშანის [illegible]. უცხოელ [illegible]ების კორესპონდენტები, ბრძოლის [illegible]იდან დაბრუნებულნი, საერთოთ [illegible]ულნი არიან იაპონიის ქვეითა ჯარით, ცხენოსან ჯარს-კი გულგრილად იხსენიებენ. იაპონიის გაზეთები საერთო გულმოდგინეობით ლაპარაკობენ შესახებ შეთანხმებისა, რომელიც ვითომ გერმანიასა და რუსეთს შორის არსებობსო, მაგრამ ჰგონიათ, რომ ეს ხმა საფუძველს მოკლებული იქნებაო. გაზეთები ურჩევენ გერმანიას არ განამეოროს ის სახიფათო ნაბიჯი, რომელიც ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ იყო, რადგან ამას შესაძლებელია მოჰყვეს გერმანიასა და იაპონიის შუა განხეთქილება, რომლის განკარგება შეუძლებელი შეიქმნება.

ტოკიო, 9 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). კუროპატკინი უქველად სცდება, როცა ამბობს რკინის გზის ხიდი ლიაოიანთან დანგრეულიაო. რაც ხისა იყო, დასწვეს, ხოლო რკინის კოჭები-კი მთლად დარჩა. გაზეთების კორესპონდენტებს გაუვლიათ ამ ხიდზე რუსის ჯარის უკან დახევის შემდეგ. დალნისა და ლიაოიანის შუა რკინის გზა მხოლოდ ცოტათია დაზიანებული.

ხარბინი, 9 სექტემბერი. შემდეგი მოხდა: სატელეგრაფო ნაწილის სამი მოხელე მდინარე სუნგარზე ნავით სანადიროდ წავიდა. ერთი მათგანი ხუნხუზებმა მოკლეს, მეორე მხარში დასჭრეს, მესამე-კი გადარჩა.

ირკუტსკი, 10 სექტემბერს. ბაიკალის რკინის გზა დამთავრებულია. გზათა მინისტრის დასწრებით გახსნიან ამ გზას.

ლონდონი, 10 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). კუროკის არმიასთან მყოფი „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება 5 სექტემბრიდან, რომ ბინტაჩზისთან დაზვერვის შემდეგ რუსებმა ჯგუფ-ჯგუფად დაიხიეს უკან. ამგვარის წესით უკან დახევა ჩვეულებადა აქვთ რუსებს და იაპონელებისათვის ძალიან მოხერხებულია ნიშანში ამოსაღებად. ამიტომ უკან დახევის დროს მეტი ხალხი უწყდებათ, ვიდრე თვით ბრძოლაში.

შანხაი, 9 სექტემბერს („რეიტ. სააგ.“). მანჯურიის მომხრენი პეკინში მონდომებულნი არიან უცხო სახელმწიფოები ჩაურიონ საქმეში, რადგან იმედი აქვთ, იაპონიას ჩინეთისათვის დააბრუნებინებენ მანჯურიას ისე რომ, არავითარი პირობა არ დაუდოს. [illegible]რახვა აქვთ ამგვარის მინდობილებით გაჰგზავნონ მისია ევროპის სახელმწიფოთა წინაშე.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტ[illegible] ხაროვის დეპეშა მთ[illegible]ალს 9 სექტემბერს, 1904 წელს: „აღმოჩნდა, რომ მტრის მოწინავე რაზმები სამხრეთ ფრონტზე მოდიან, სოფელ შანიუპუზიდან ჩრდილოეთისაკენ, ფულინის გზით“.

9 სექტემბერი

ბელგრადი, 8 სექტემბერი („კორ. ბიურო“). მეფემ უბოძა ორდენები უცხოელ სახელმწიფოების წარმომადგენელთ. ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია ამნისტია: ეპატიათ სასჯელი იმათ, ვისაც არჩევნების დროს დანაშაულობა ჩაუდენია, აგრეთვე იმათ, ვისაც სასამართლოსაგან 15 დღით დაპატიმრება აქვთ გადაწყვეტილი.

10 სექტემბერი

პეტერბურგი, 9 სექტემბერი. ძველ პეტერგოფში უმაღლესის თანდასწრებით აკურთხეს ლეიბ-გვარდიის დრაგუნთა პოლკის ეკლესია.— 9 სექტემბერს ვილნოში წავიდა დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე გენერალ-მაიორის [illegible] თანხლებით. დიდი მთავარი დაესწრება დედოფლის ეკატერინე დიდის ძეგლის კურთხევას.

შანხაი, 8 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). მიღებულ ცნობებით, ჩინეთი წინააღმდეგია ინგლისისა და ტიბეტ შორის დადებულ ხელშეკრულებისა. ჩინეთის აზრით, ეს ხელშეკრულება საზარალოა ჩინეთისათვის, როგორც ტიბეტის უზენაეს მპყრობელისათვის.

ვილნო, 9 სექტემბერი. ძეგლის კურთხევის წინა დღეს [illegible] და ვილნოს მთავარ ეპისკოპოზმა [illegible] გადაიხადა წირვა და პანაშვიდი დედოფალ ეკატერინეს სულის მოსახსენებლად. ქალაქს [illegible] გლ-ფერი დადო. ქუჩები დროშებით მორთო. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ამინდი ხელს უწყობს.

შანხაი, 9 სექტემბერი („ვოლფ. სააგ.“). იტენში ფრანგ მისიონერების მოკვლის გამო ჩინეთმა თანხმობა განაცხადა დასაჯოს მოხელენი და ააგოს საავადმყოფო. ფულით დაჯილდოების შესახებ საქმე ჯერ არ გადაწყვეტილა.

პარიზი, 9 სექტემბერი („ჰავას. სააგ.“). ჩინეთის მთავრობამ ბოდიში მოიხადა საფრანგეთის მისიის წინაშე იმ ინციდენტის გამო, რომლის დროსაც ჯოხებით შეიარაღებული ჩინელი სალდათები თავს დაეცნენ მისიის დამცველ რაზმის მაიორს ლარიბს.

დრეზდენი, 9 სექტემბერი („ვოლფ. სააგ.“). რამდენიმე დღეა მეფე ბრონხიტით არის ავად და სასახლიდან არ გამოდის. სიცხე არა აქვს.

10 სექტემბერი

პეტერბურგი. ჟურნალის „ნაუჩნოე ობოზრენიე“-ს გამოცემა სამუდამოდ მოსპობილად იქმნა ცნობილი.

ადესსა, 9 სექტემბერი. დილით ბულვარში მიმავალ გრადონაჩალნიკს ნეიდგარდს თავს დაეცა ვიღაც უცნობი კაცი. უცნობმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ ტყვია ააცდინა. გრადონაჩალნიკმა შეიპყრო და რევოლვერი წაართვა. უცნობს რევოლვერს გარდა ხანჯალიც აღმოაჩნდა. დამნაშავის ვინაობა ჯერ ვერ გამოარკვიეს, რადგან თითონ დამნაშავე არას ამბობს.

ვილნო, 9 სექტემბერი. მთავარ ეპისკოპოსმა ნიკანდრმა გადაიხადა წირვა და სადღესასწაულო პანაშვიდი ეკატერინე მეორის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი, ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარისა უფროსი, გენერლობა, სხვა-და-სხვა ნაწილის უფროსები, სხვა-და-სხვა მაზრის მამასახლისები, 6 გუბერნატორი და მრავალი მოსული ხალხი. ეკლესიაში შესვლის დროს ყველას ურიგებდნენ გენერალ ბოგდანოვიჩის მიერ გამოცემულ წიგნაკებს და სურათებს, საღამოზე სასახლეში გაიმართა სხდომა ადგილობრივ კავშირის „რუსკოე სობრანიე“-ს წევრებისა.

ვილნო, 9 სექტემბერი. 2 საათზე აკურთხეს მურავიოვის მუზეის სადგომი. დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯარის უფროსი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, უფროსი მოხელენი და პრესის წარმომადგენელნი.

ბერლინი, 9 სექტემბერი. როგორც „ფო[illegible]სიშე ცაიტუნგ“-ი [illegible] პრინცის დაქორწინება მოხდება შუა ოქტომ[illegible] ახალის სტილით.

ედინბურგი, 9 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). აქ დაიწყო საერთაშორისო უფლების ინს[illegible]ტის სხდომები. პეტერბურგიდან მოსული უფლებათა დოქტორი მანდელშტამი აირჩი[illegible] კორესპონდენტად.

ბელგრადი. 9 სექტემბერს [illegible] ახლო ბანკში დაათვალიერეს ჯარები. [illegible] დიდის ამბით გახსნეს სამხედრო მუზეუმი, [illegible] შენახულია ტანისამოსი, თოფი და [illegible] ზარბაზანი კარაგეორგისა. საღამოს თ[illegible] სადღესასწაულო წარმოდგენა კონცერტი გაი[illegible] ქალაქი გაჩირაღდნებულია.

ფილიპოპოლი. კონსტანტინეპო[illegible] იტყობინებიან, რომ დიდი მზადებაა ალბ[illegible] საწინააღმდეგო მხედრობის გასაგზა[illegible] სულეიმან-ფაშა სარდლად დაინიშნა.— [illegible] გარიის ექსარხოსმა პორტას მოხსენება [illegible] დგინა და აცნობებს, რომ სოფლის ზოგ[illegible] მასწავლებლებს ნებას არ აძლევენ სწავლები[illegible] დიდმა ვეზირმა აღუთქვა, ამ საქმეს ჩქარა მო[illegible] წესრიგებო. პორტამ საბერძნეთის მთავრო[illegible] ყურადღება იმას მიაქცია, რომ საბერძნეთიდ[illegible] რამდენიმე რაზმი გადმოვიდა საზღვარზე სლა[illegible]ვიანთა სადევნელადაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

განცხადებანი

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს.-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოგიელოვის
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ., საღამოს
5—7 საათ. (30—3512—17

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისა

უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურიას
ს.-პეტერბურგში.
დაარსებულს **1860** წელს

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს სთხოვენ
ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს,
განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს
„1860“ და სიტყვას
„С.-Петерб
წითელ სამკუთ
ბრიკის ნიშ
ნარდათ რამდენიმე
აწარმოვებს [illegible]
ჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს,
ტაშკენტში. და **ტფილისს**

(60—30)